პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2025 წლის ---- ივნისი ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №27 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 01/11/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016562) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ს, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესი“-ს:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უსახლკარო სტატუსის მაძიებელი პირი (შემდგომში – პირი) უსახლკარო პირად დარეგისტრირდება, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში არის საქართველოს მოქალაქე უწყვეტად და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში და უსახლკარო პირის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის უწყვეტად რეგისტრირებულია ბათუმის ტერიტორიაზე მათ შორის, ისეთი პირი, რომელსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდა და კვლავ განაახლა ბათუმში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში;

ბ) კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას პირი არის სრულწლოვანი;

გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას პირის მიმართ არ ფიქ-სირდება უძრავ ნივთზე (გარდა სარდაფის, სამეურნეო სათავსისა და სხვა ფართისა, რომელიც გამოუსადეგარია საცხოვრებლად და არ გამოიყენება კომერციული მიზნე-ბისათვის, ასევე გარდა 10 კვ.მ. ნაკლები საცხოვრებელი ფართისა) საკუთრების უფლება;

დ) შესაბამისი ორგანოების და მუნიციპალიტეტის სერვისცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას პირის მიმართ არ ფიქსირდება საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ნებისმიერ ფართზე (გარდა სარდაფის, სამეურნეო სათავსისა და სხვა ფართისა, რომელიც გამოუსა-დეგარია საცხოვრებლად და არ გამოიყენება კომერციული მიზნებისათვის, ასევე გარდა 10 კვ.მ. ნაკლები ფართისა) მართლზომიერი მფლობელობის ან უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტი;

ე) შესაბამისი ორგანოების და მუნიციპალიტეტის სერვისცენტრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არ დასტურდება პირის მხრიდან დამოუკიდებლად ბინის ან 10 კვ.მ.-ზე მეტი კომერციული/საცხოვრებლად ვარგისი სხვა ფართის ქირის (იჯარის) კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად გადახდის ფაქტი;

ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას პირს არ გააჩნია საკუთრებაში ავტოსატრანსპორტო საშუალება, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მხრიდან გადაწყვეტილება მიიღება ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკის, გამოშვების წლისა და მოდელის, მისი შეძენის დროისა და ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6000 ლარს;

ზ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურისა და შესაბამისი საბანკო დაწესებულებ(ებ)ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად პირს არ გააჩნია რეგისტრირებული შემოსავალი ან კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე 6 თვის განმავლობაში პირის მიერ მიღებული ყოველთვიური შემოსავალი არ აჭარბებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ განსაზღვრულ პირის საარსებო მინიმუმის სამმაგ ოდენობას;

თ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ფიქსირდება პირის მიერ სახელმწიფო საზღვრის 10 (ათი) და მეტი გადაკვეთა (სახელმწიფო ტერიტორიის დატოვება), ამასთანავე ერთჯერადად საზღვრის გადაკვეთა არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მიზნით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით, ამასთან, საზღვრის 24 საათზე ნაკლები დროით კვეთის შემთხვევაში, ასეთი გადაკვეთის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამოც ერთეულს.

2. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები:

„ზ) პირი, რომლის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების სისტემის საფუძველზე არის 65 001-მდე - 1 ქულა;

თ) პირის რეგისტრაცია ქ. ბათუმში 10 და მეტი წლის განმავლობაში - 1 ქულა.“.

3. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უსახლკარო სტატუსის მაძიებელი ოჯახი უსახლკარო ოჯახად დარეგისტრირდება, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის თითოეული წევრი არის საქართველოს მოქალაქე უწყვეტად და ამასთანავე, ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ოჯახის წევრთა ნახევარი მაინც უწყვეტად და ამავდროულად უსახლკარო ოჯახის სტატუსის მინიჭების მომენტისათვის რეგისტრირებულია ბათუმის ტერიტორიაზე მათ შორის, ოჯახის წევრი, რომელსაც ამ 2 (ორი) წლის განმავლობაში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ბათუმში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად ის არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის არც ერთი წევრის მიმართ არ ფიქსირდება უძრავ ნივთზე (გარდა სარდაფის, სამეურნეო სათავსისა და სხვა ფართისა, რომელიც გამოუსადეგარია საცხოვრებლად და არ გამოიყენება კომერ-ციული მიზნებისათვის, ასევე გარდა 10 კვ.მ. ნაკლები საცხოვრებელი ფართისა) საკუთრების უფლება;

გ) შესაბამისი გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის არც ერთი წევრის მიმართ არ ფიქსირდება საცხოვრებელ სადგომზე ან სხვა ნებისმიერ ფართზე (გარდა სარდაფის, სამეურნეო სათავსისა და სხვა ფართისა, რომელიც გამოუსადეგარია საცხოვრებლად და არ გამოიყენება კომერციული მიზნებისათვის, ასევე გარდა 10 კვ.მ. ნაკლები ფართისა) მართლზომიერი მფლობელობის ან უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტი;

დ) შესაბამისი ორგანოებისა და მუნიციპალური სერვისცენტრების მიერ მოპოვებული ინფორმაციით არ დასტურდება ოჯახის მხრიდან დამოუკიდებლად ბინის ან 10 კვ.მ.-ზე მეტი კომერციული/საცხოვრებლად ვარგისი სხვა ფართის ქირის (იჯარის) კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 1 (ერთი) წლის განმავლობაში უწყვეტად გადახდის ფაქტი;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას ოჯახის არც ერთ წევრს არ გააჩნია საკუთრებაში ავტოსატრანსპორტო საშუალება, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საკუთრების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მხრიდან გადაწყვეტილება მიიღება ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკის, გამოშვების წლისა და მოდელის, მისი შეძენის დროისა და ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6000 ლარს;

ვ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და შესაბამისი საბანკო დაწესებულებ(ებ)ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ოჯახს არ გააჩნია რეგისტრირებული შემოსავალი ან კომისიის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე 6 თვის განმავლობაში ოჯახის წევრების მიერ მიღებული ყოველთვიური შემოსავალი თითოეულ წევრზე არ აჭარბებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ განსაზღვრულ პირის საარსებო მინიმუმის ორმაგ ოდენობას, ხოლო თუ ოჯახში დასაქმებულია მხოლოდ ერთი წევრი, მისი ყოველთვიური შემოსავალი არ აჭარბებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ განსაზღვრულ პირის საარსებო მინიმუმის სამმაგ ოდენობას;

ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ფიქსირდება ოჯახის არც ერთი წევრის მიერ სახელმწიფო საზღვრის 10 (ათი) და მეტი გადაკვეთა (სახელმწიფო ტერიტორიის დატოვება), ამასთანავე ერთჯერადად საზღვრის გადაკვეთა არ უნდა აღემატებოდეს 15 კალენდარულ დღეს, გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მიზნით სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა, რაც დასტურდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით, ამასთან, საზღვრის 24 საათზე ნაკლები დროით კვეთის შემთხვევაში, ასეთი გადაკვეთის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამოც ერთეულს.

4. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები:

„თ) ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების სისტემის საფუძველზე არის 65 001-მდე - 1 ქულა;

ი) ოჯახის ერთი წევრის მაინც რეგისტრაცია ქ. ბათუმში 10 და მეტი წლის განმავლობაში - 1 ქულა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური
„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №27 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესში“ ცვლილების შეტანის მიზანია დადგენილების სრულყოფა და ამასთან მოცემული ცვლილებით გაჩნდება შესაძლებლობა პროგრამაში ჩაერთოს საჭიროების მქონე უფრო მეტი პირი/ოჯახი.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით ცვლილება შედის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №27 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესში“, რომლის მიხედვით:

დაზუსტდა (დაემატა) იმ ქონებების ჩამონათვალი რომელთა საკუთრებაში ქონა არ ჩაითვლება დამაბრკოლებელ გარემოებად და შესაძლებლობა ექნება მსგავს ოჯახებს და პირებს მოითხოვონ უსახლკაროდ რეგისტრაცია, კერძოდ, სარდაფთან და სამეურნეო სათავსოს ერთად სხვა ფართის, რომელიც გამოუსადეგარია საცხოვრებლად და არ გამოიყენება კომერციული მიზნებისათვის, ასევე გარდა 10 კვ.მ. ნაკლები საცხოვრებელი ფართისა; ასევე, მხედველობაში არ მიიღება სარდაფის სამეურნეო სათავსოს და სხვა ფართის, რომელიც გამოუსადეგარია საცხოვრებლად და არ გამოიყენება კომერციული მიზნებისათვის, ასევე გარდა 10 კვ.მ. ნაკლები ფართის, მართლზომიერი მფლობელობის ან უსასყიდლოდ სარგებლობის ფაქტი; დამაბრკოლებელ გარემოებად არ ჩაითვლება კომისიის მიერ პირის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე ბოლო 1 (ერთი) წლის განმავლობაში სტატუსის მაძიებლის მიერ არაუმეტეს 10 კვ.მ. კომერციული/საცხოვრებლად ვარგისი სხვა ფართის ქირის (იჯარის)უწყვეტად გადახდის ფაქტი; დაზუსტდა ავტომანქანის ის მონაცემები, რომელთა საკუთრებაში ქონა არ წარმოადგენს უსახლკარო სტატუსის მინიჭებისათვის გამომრიცხავ გარემოებას, კერძოდ, კომისიის მხრიდან გადაწყვეტილება მიიღება ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკის, გამოშვების წლისა და მოდელის, მისი შეძენის დროისა და ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6000 ლარს; დასაშვები საარსებო მინიმუმის ორმაგი ოდენობა პირის შემთხვევაში იზრდება და ხდება სამმაგი ოდენობა, ხოლო ოჯახის შემთხვევაში თუ ერთი პირია დასაქმებული დასაშვები საარსებო მინიმუმი შეადგენს სამმაგ ოდენობას, ოჯახის რამდენიმე წევრის დასაქმების შემთხვევაში თითოეულის შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს საარსებო მინიმუმის ორმაგ ოდენობას; საზღვრის კვეთის 24 საათზე ნაკლები დროის შემთხვევაში პირს/ოჯახის წევრის დამატებით ეძლევა დასაშვები კვეთის ოდენობა არაუმეტეს სამოცი ერთეულისა. დადგენილებას აგრეთვე ემატება ის გარემოებები, რომელთა შემთხვევაში ოჯახს/პირს რიგითობის განსაზღვრის მიზნით ენიჭება ქულები, კერძოდ, ოჯახი, რომლის

სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების სისტემის საფუძველზე არის 65 001-მდე - 1 ქულა; ოჯახის ერთი წევრის მაინც რეგისტრაცია ქ. ბათუმში 10 და მეტი წლის განმავლობაში - 1 ქულა.“

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელკბისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი
განყოფილების უფროსის მ/შ **მუხრან ჯორბენაძე**